

ინტეგრირებული ინფორმაცია პროექტის განხორციელებისას მოსალოდნელი უარყოფითი გვერდითი მოვლენებისაგან დაცვის მექანიზმების შესახებ (ISDS)

კონცეფციის ეტაპი

ანგარიში №.:

(ISDS) მომზადების/განახლების თარიღი:  
წლის 7 ივნისი

6 დეკემბერი, 2007

I. ძირითადი ინფორმაცია

A. ძირითადი საპროექტო მონაცემები

ქვეყანა: საქართველო	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: P101625
	პროექტის დამატებითი საიდენტიფიკაციო კოდი (თუ კი ასეთი არსებობს):
პროექტის დასახელება: მცირე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი	
ჯგუფის ხელმძღვანელი: იოსებ მეღვინაძე	
პროექტის შეფასების სავარაუდო თარიღი: 2007 წლის 25 ივნისი	საბჭოს სხდომის სავარაუდო თარიღი:
მმართველი ერთეული: ECSSD	სესხის ინსტრუმენტი: ნახშირბადის ფონდი, ემისიების შემცირების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
სექტორი: ელექტროენერჯია	
თემა: კლიმატური ცვლილება	
IBRD-ს მიერ გამოყოფილი თანხა (აშშ მილიონი): IDA-ს მიერ გამოყოფილი თანხა (აშშ მილიონი): GEF -ის მიერ გამოყოფილი თანხა (აშშ მილიონი): ნახშირბადის ფონდის (ნფ) მიერ გამოყოფილი თანხა (აშშ მილიონი): 3.0 აშშ მილიონი სხვა თანხები დაფინანსების წყაროების მიხედვით:	
გარემოსდაცვითი კატეგორია: B	
გამარტივებული გადამშავების წესი: მარტივი [ ]	განმამეორებელი [ ]
გადაცემული პროექტია თუ არა? დიახ [ ]	არა [ x]

B. პროექტის მიზნების

პროექტის შემუშავების მიზანია სათბურის გაზის ემისიების დონის შემცირება მცირე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისა და მათი სიმძლავრის 11 მეგავატამდე გაზრდის გზით. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს

საერთაშორისო ბაზრის მექანიზმის ჩამოყალიბებას “ემისიების შემცირებისთვის” კოტოს ხელშეკრულების ფარგლებში, განსაკუთრებით კი მცირემასშტაბიანი პროექტების გაერთიანების მოდელის შემუშავების მეშვეობით, რომელიც შესაძლებელს გახდის საქართველოში ემისიების დონის შემცირებას.

### **C. პროექტის აღწერილობა:**

პროექტი უზრუნველყოფს არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისთვის საჭირო ტექნიკურ და ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელიც მინიმუმ 11 მგვ დამატებითი სიმძლავრის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. USAID-ს მომზადებული აქვს ტექნიკური განხორციელებადობის ანალიზი 24 შესაძლო პროექტისთვის, რომელიც შესრულდა პროექტის პოტენციალის, ტექნიკური საჭიროებების, ხარჯებისა და შესაძლო უპირატესობების განსაზღვრის მიზნით. USAID-ს წინასწარ აქვს შერჩეული ცხრა (9) პროექტი პროექტის განხორციელების პირველი წლისთვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სულ მცირე 11 მგვ დამატებითი სიმძლავრის გამომუშავება. პროექტის განხორციელების მეორე წლისთვის, შემოთავაზებულია დამატებით 10 პროექტი, რომელმაც კიდევ 14 მგვ სიმძლავრე უნდა შექმნას.

პროექტების უმეტესობა მოითხოვს ტურბინების, გენერატორების, ხაზების, ტრანსფორმატორების, წყლის გზებისა და სხვა ძირითადი კომპონენტების მარტივ რეაბილიტაციას. USAID –ი უზრუნველყოფს დაეხმარებას პროექტის განხორციელებაში და ტექნიკურ მხარდაჭერას. მის მიერ გამოყოფილი გრანტით დაიფარება მთლიანი ხარჯების დაახლოებით 30%. პროექტის დეველოპერი კომპანია განახორციელებს ინვესტიციებს სარეაბილიტაციო სამუშაოებში აქციათა მინიმუმ 5% სახით. პროექტის ხარჯების 50 % დაფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ და კიდევ 50% საქართველოს ბანკის მიერ. საქართველოს ბანკის მიერ გამოყოფილ სესხს გარანტად ერგები დაუდგება.

### **D. პროექტის განხორციელების ადგილი და ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები, რომლებიც ეხება უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზს (თუ კი ცნობილია):**

პროექტი ითვალისწინებს 24-მდე არსებული მცირე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციას, რომელიც მდინარის ბუნებრივ რეჟიმში მუშაობს და მათ შორის, პირველ წელს, საქართველოს თერთმეტი რეგიონიდან ათში 9 ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციას. აღნიშნული 24 მცირე ჰიდროელექტროსადგური განლაგებულია უმთავრესად მთიან ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალია. ასევე ახლად აშენდება რამოდენიმე მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელიც 10 კილოვატზე ნაკლები სიმძლავრის იქნება.

### **E. Borrower’s Institutional Capacity for Safeguard Policies:**

USAID-ს მიერ შემუშავდება გარემოს მართვის გეგმა და განხორციელება მისი შესრულების მონიტორინგი. USAID-ს გააჩნია ბანკის ანალოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგიონალურ ოფისი დაიქირავეს სპეციალისტს გარემოსდაცვით საკითხებში.

**F. ჯგუფის სპეციალისტები ბუნებრივი და სოციალური გარემოს უსაფრთხოების საკითხებში:**

სპეციალისტი ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოების საკითხებში: დარეჯან კაპანაძე (ECSSD)

სპეციალისტი სოციალური გარემოს უსაფრთხოების საკითხებში: სატომი იშიჰარა (ECSSD)

**II. პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებები**

პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებები	დიახ	არა	საჭიროებს განმარტებას
<i>(გთხოვთ განმარტოთ მათი გამოყენების მიზეზი)</i>			
<b>ბუნებრივი გარემოს შეფასება (OP/BP 4.01)</b>	<b>X</b>		
პროექტით გათვალისწინებულია 24 არსებული მცირე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია, რომელიც მდინარის ბუნებრივ რეჟიმში მუშაობს და რომელიც ძირითადად მთიან ტერიტორიაზეა განლაგებული. USAID-ს მომზადებული აქვს პროგრამული ბუნებრივი გარემოს შეფასება და გარემოს მართვის გეგმები (მონიტორინგისა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმები (როგორც USAID-ს მიერ არის მითითებული), რომლებიც შემუშავდა ცალკეული უბნებისთვის.			
<b>ბუნებრივი ჰაბიტატები (OP/BP 4.04)</b>	<b>X</b>		
პროექტის საქმიანობა, მშენებლობის ეტაპზე, მოახდენს დროებით ზემოქმედებას ბუნებრივ წყლის ჰაბიტატებზე და ასევე მინიმალურ ზემოქმედებას იქონიებს მდინარის დინების რეჟიმზე ოპერაციების განხორციელების პერიოდში. ყველა სახის საქმიანობას გაეწევა მონიტორინგი, როგორც ეს ბუნებრივი გარემოს მართვის გეგმებშია აღწერილი. სახმელეთო ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის მუდმივად ადგილის შეცვლა გათვალისწინებული არ არის.			
<b>ტყეები (OP/BP 4.36)</b>		<b>X</b>	
სპეციალისტებმა და ჯგუფმა დაადასტურეს, რომ ტყეებზე ზემოქმედება უმნიშვნელოა: გაჩეხილი იქნება მაქსიმუმ 1 ჰექტარი ტყის მასივი. ამგვარად 4.36 გამოყენება გათვალისწინებული არ არის			
<b>მავნებლებთან ბრძოლა (OP 4.09)</b>		<b>X</b>	
<b>ფიზიკური კულტურის რესურსები (OP/BP 4.11)</b>		<b>X</b>	
<b>მკვიდრი მოსახლეობა (OP/BP 4.10)</b>		<b>X</b>	
<b>იძულებით განსახლება (OP/BP 4.12)</b>		<b>X</b>	
მოცემულ პროექტში, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები მცირე			

პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებები	დიახ	არა	საჭიროებს განმარტებას
<i>(გთხოვთ განმარტოთ მათი გამოყენების მიზეზი)</i>			
ჰიდროელექტროსადგურების დამატებით 24 ქვესადგურისთვის, განხორციელდება მიწის ფართობზე, რომლის შესყიდვაც მოხდება ღია ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის ნებაყოფლობითი გარიგების გზით და რომლის ადგილმდებარეობასაც განსაზღვრავს CBO-ს ბენეფიციარი/ ცალკეული პირები. ამგვარად მიწის ფართობის მოპოვება არ ითვალისწინებს იძულებით განსახლების უფლების გამოყენებას.			
<b>კაშხალების უსაფრთხოება (OP/BP 4.37)</b>		<b>X</b>	
წყლის ინფრასტრუქტურების სიმაღლის/ ზომისა და ჰიდროსტატიკური წნევის დასაბუთებული შეფასება. ამგვარად უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება გათვალისწინებული არ არის.			
<b>პროექტების განხორციელება საერთაშორისო წყლის გზებზე (OP/BP 7.50)</b>	<b>X</b>		
მცირე ჰიდროელექტროსადგურების ადგილმდებარეობა ასევე ითვალისწინებს იგივე უსაფრთხოების ღონისძიებებს (OB/BP7.50). აღნიშნული მცირე ჰიდროელექტროსადგურები მეტისმეტად მცირეა იმისათვის, რომ ნებისმიერი სახის შესაძლო ზემოქმედება მოახდინოს დიდი მდინარის სისტემაზე და არც ერთი მადგანი არ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონების სიახლოვეს. პროექტის ჯგუფი მოითხოვს არ დაკმაყოფილდეს კონფლიქტში მონაწილე მხარის მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.			
<b>პროექტების განხორციელება სადავო ტერიტორიებზე (OP/BP 7.60)</b>		<b>X</b>	

### III. უსაფრთხოების ღონისძიებების მომზადების გეგმა

- A. ხარისხის დონის ამაღლების დოკუმენტისთვის დადგენილი თარიღი, რა დროსაც ISDS PAD-ეტაპი მომზადებული უნდა იყოს:
- B. მარტივი პროექტებისთვის, რომლებიც არ მოითხოვს ხარისხის დონის ამაღლების დოკუმენტის წარდგენას, ISDS PAD-ეტაპის მოსამზადებლად დადგენილი თარიღი:
- C. უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოკვლევების დაწყებისა და შესრულების ვადა, თუ ასეთი გამოკვლევების განხორციელება საჭირო იქნება.

სპეციალური გამოკვლევები და მათი განხორციელების ვადები <sup>1</sup> განსაზღვრული უნდა იქნეს ISDS PAD-ეტაპზე:

#### IV. დამტკიცება

<i>ხელმოწერილია და განსახილველად წარდგენილი:</i>		
ჯგუფის ხელმძღვანელი:	იოსებ მელითაური, ECSSD	2007 წლის 7 ივნისი
<i>დამტკიცებულია:</i>		
უსაფრთხოების რეგიონალური კოორდინატორი:	რონალდ ჰოფერი, ECAVP	2007 წლის 7 ივნისი
შენიშვნები:		
სექტორის მენეჯერი:	ჩარლზ ფაინშტაინი, ECSSD	2007 წლის 7 ივნისი
შენიშვნები:		

wb231456

L:\Projects\Hydro Rehabilitation\Project Docs\ISDS PCN Stage Hydro Rehabilitation Draft 3.doc

05/29/2007 11:32:00 PM

---

<sup>1</sup> Reminder: The Bank's Disclosure Policy requires that safeguard-related documents be disclosed before appraisal (i) at the InfoShop and (ii) in-country, at publicly accessible locations and in a form and language that are accessible to potentially affected persons.